საარჩევნო ადმინისტრაცია შშმ პირებს მათი საარჩევნო უფლების განსახორციელებლად არაერთ სერვისს სთავაზობს:

- ცესკოს ვებგვერდზე უსინათლო პირებს დამოუკიდებლად შეუძლიათ ამომრჩეველთა ერთიან სიაში საკუთარი მონაცემების გადამოწმება;
- ყრუ და სმენადაქვეითებულ პირებს შეუძლიათ ისარგებლონ ჟესტური ენის მცოდნე ოპერატორის მომსახურებით.

კენჭისყრაში მონაწილეობისთვის უზრუნველყოფილია:

- უსინათლო პირებისთვის საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ჩარჩო ფორმა;
- მცირემხედველი პირებისთვის გამადიდებელი ლინზა;
- ეტლით მოსარგებლე პირებისთვის ადაპტირებულ საარჩევნო უბნებზე ხმის მიცემის კაბინა;

- ყრუ და სმენადაქვეითებული, მხარდაჭერის მიმღები პირებისთვის კენჭისყრაში მონაწილეობის ამსახველი პოსტერი QR კოდით, რომელზეც დატანილია ინფორმაცია ჟესტურ ენაზე.

ვის აქვს უფლება, მოითხოვოს ადაპტირებული საარჩევნო უბანი

- ეტლით მოსარგებლე ამომრჩეველმა, კენჭისყრის დღემდე, არაუგვიანეს მე-11 დღისა უნდა მიმართოს შესაბამის საოლქო ან საუბნო საარჩევნო კომისიას.